დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი რომელშიც აღნიშნულია: „ მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა: 3. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ გუნდურად, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. 4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.“ ამ ჩანაწერით დასტურდება, რომ დაწესებულება აცნობიერებს გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და იგი უნდა განხორციელდეს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალში მოიაზრება აღმზრდელი და მუსიკის მასწავლებელი, ასევე საჭიროების შემთხვევაში ამ პროცესში ერთვება ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებელი. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და იცის, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და იგი უნდა განხორციელდეს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ “თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად მომარაგების წესი რომელშიც აღნიშნულია, რომ: საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: დღის განრიგი, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები. ამავე წესის თანახმად, პრაქტიკაში აღნიშნულ დოკუმენტაციაში თავს იყრის ინფორმაცია ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესების შესახებ. ამავე წესის (მუხლი 3.) აღნიშნულია, რომ: „ მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმების ფორმები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და იცის, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად მომარაგების წესი რომელშიც (მუხლი 10.)აღნიშნულია, რომ: საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: დღის განრიგი, აღზრდელ-პედაგოგის/აღზრდელის პორტფოლიო, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები და ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა. ამავე წესის თანახმად, პრაქტიკაში აღნიშნულ დოკუმენტაციაში თავს იყრის ინფორმაცია ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებების შესახებ. ამავე წესის (მუხლი 3.) აღნიშნულია, რომ: „ მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმების ფორმები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები; დაწესებულების მიერ დამტკიცებული კვირის გეგმის ფორმა მოიცავს ინდივიდუალიზაციის კომპონენტს. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და იცის, რომ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა უნდა ასახავდეს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად მომარაგების წესი რომელშიც აღნიშნულია, რომ: საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები. ამავე წესის თანახმად, პრაქტიკაში აღნიშნული ინფორმაცია იკითხება გეგმა/გეგმებში, რომელის ფორმებიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N14(27.01.2025) და პრაქტიკაში უნდა მოცავდეს თამაშზე ორიენტირებული პროცესის ჩანაწერს. ასევე დამტკიცებული გეგმა /გეგმების

ფორმა მოიცავს ტრანზიციის კომპონენტს, სადაც პრაქტიკისას მიმდინარე პროცესში გაიწერება ტრანზიციების განხორციელების მეთოდები და სტრატეგიები. ინდიკატორის მოთხოვნას აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმებიც. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ მიდგომებსა და სტრატეგიებს, რაც დადასტურდა დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული კურიკულუმები აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას განსაზღვრავს შემდეგნაირად: დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ შემოქმედებით, კვლევით, მოძრაობით, საგნებით მანიპულაციურ, სენსორულ, კონსტრუქციულ, სამაგიდო, წესებიან და ზომიერად რისკიანი თამაშებში. აღნიშნულ თამაშების შესაძლებლობას ფიზიკური გარემოს მოწყობა უნდა იძლეოდეს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური თამაშებისთვის, როგორც შენობის შიგნით ასევე შენობის გარეთ. ფიზიკური გარემო უნდა მოიცავდეს შემდეგ ცენტრებს: დრამატულ, სენსორულ, სამაგიდო, კონსტრუქციულ, ხელოვნების, მეცნიერების, წიგნიერების ცენტრებს. მიმდინარე პრაქტიკისას მსგავსი ინფორმაცია იკითხება დღის განრიგში, კვირის გეგმასა და საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსურ ჩანაწერებშიც. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი რომელშიც აღნიშნულია: „ მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა: 2. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის

საჭიროებები და ინტერესები; ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი; 3) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.”, დაწესებულებაში ვიზიტისას დადასტურდა, საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს კურიკულუმის შესაბამის გეგმა/გეგმების ფორმებს სადაც გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული კომპონენტები. ასევე დადასტურდა, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ დრამატულ, სენსორულ, სამაგიდო, კონსტრუქციულ, ხელოვნების, მეცნიერების, წიგნიერების თამაშებში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, რაც ვლინდება დღის განრიგში, ერთი ჯგუფის ფიზიკურ გარემოსა და ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობაში, ხოლო მეორე ჯგუფური ოთახი დაგვხვდა ცარიელი, ჯგუფში იდგა მხოლოდ ორი მაგიდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის დოკუმენტით არ დასტურდება ამ ჯგუფის მოსაწყობად საჭირო ინვენტარისა და საგანმანათლებლო რესურსის ფლობა. აღნიშნული ჯგუფის ფიზიკური გარემო არ უწყობს ხელს ინდიკატორის მოთხოვნის განხორციელებას, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა ფიზიკური გარემოს მოწყობა ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „დაწესებულება უზრუნველყოფს შიდა ფიზიკური გარემოს მოწყობას საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსით ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.” აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით : ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესში გაწერილია შემდეგი მექანიზმი და პერიოდულობა: „ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით. საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს: ა) მოგროვება; ბ) დონაცია; გ) დამზადება. ამავე წესის თანახმად არსებულ მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის “.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. ამ წესს თანდართული აქვს ცხრილი“ ა(ა)იპ „ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის “- ის შერჩეული კურიკულუმის სარეკომენდაციო რესურსი/მასალა “ამ ცხრილში ჩამოთვლილია რესურსი/მასალა, მაგრამ არ არის მითითებული ამ რესურსის მინიმალური რაოდენობა და არ რის განსაზღვრული მინიმალური რაოდენობა ჯგუფზე, ბავშვზე, თუ ბაღზე უნდა განისაზღვროს. შესაბამისად დაწესებულებას აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით

შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი, მაგრამ არ აქვს საგანმანათლებლო რესურსის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით განსაზღვრის მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც განსაზღვრავდა კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის რაოდენობას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მიხედვით. ასევე დაწესებულებაში ვიზიტისას ვნახეთ, რომ დაწესებულებაში არის ორი ჯგუფური ოთახი, აქედან ერთი ჯგუფური ოთახის ფიზიკური გარემო მოწყობილია დაწესებულების მიერ დეკლარირებული კურიკულუმის შესაბამისად. ვგულისხმობ ჯგუფის ცენტრებად დაყოფას, ცენტრების ფუნქციურად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფას, თუმცა რესურსის დიდ ნაწილს მეორეული მასალით დამზადებული რესურსი შეადგენს. დაწესებულებამ წარმოდგენილი რესურსების ფლობა დაადასტურა ივენტარიზაციის დოკუმენტითა და მიღება ჩაბარების-აქტებით. რაც შეეხება მეორე ჯგუფურ ოთახს, ის დაგვხვდა ცარიელი, ჯგუფში იდგა მხოლოდ ორი მაგიდა. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას არ აქვს კურიკულუმის შესაბამისი რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და არც საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური ჩამონათვალი, სადაც მითითებული იქნება ამ რესურსის მინიმალური რაოდენობა ჯგუფზე, ბავშვზე, თუ ბაღზე უნდა განისაზღვროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა, სადაც მითითებული იქნება ამ რესურსის მინიმალური რაოდენობა ჯგუფზე, ბავშვზე, თუ ბაღზე უნდა განისაზღვროს და უზრუნველყოს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით მომარაგება, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რჩევა

დაწესებულებას შეუძლია მის მიერ შემუშავებულ ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“-ის შერჩეული კურიკულუმის სარეკომენდაციო რესურსი/მასალა“ ცხრილს დაუმატოს კომპონენტები რისი საშუალებითაც შეძლებს კურიკულუმის შესაბამისი რესურსის დათვლას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამ პროცესის გასამარტივებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მეთოდოლოგიური დოკუმენტი „2.2. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მეთოდოლოგია“ ცხრილი N 2 .

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრას, სადაც მითითებული იქნება ამ რესურსის მინიმალური რაოდენობა ჯგუფზე, ბავშვზე, თუ ბაღზე უნდა განისაზღვროს და უზრუნველყოს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით მომარაგება, ბავშვთა

ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.” აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების შიდა და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. უნდა იძლეოდეს სხვადასხვა ტიპის, აქტიური და პასიური, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშების, მათ შორის ზომიერად რისკიანი თამაშებისა და მოსვენების საშუალებას. ჯგუფური ოთახების ფიზიკური გარემო დაყოფილი უნდა იყოს ფუნქციურ ცენტრებად და აღჭურვილი შესაბამისი ავეჯითა და რესურსებით. ეს ცენტრებია: დრამატული, კუბურების, სამაგიდო, ხელოვნების, სენსორული, მეცნიერების, წიგნიერების, მოსასვენებელი სივრცე. ფიზიკური გარემო მყუდრო, კედლები ნეიტრალურ ფერში, ოთახი ხის ფაქტურის ავეჯით გაწყობილი. თაროები ბავშვის სიმაღლის, რესურსი ბავშვისთვის ხელმისაწვდომი. ცენტრები და თაროები ბავშვის სიმაღლეზე აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, ასევე რესურსის შესაბამისი კონტეინერები, რათა ბავშვს გაუადვილდეს ორიენტაცია სივრცეში და რესურსების დახმარების დახმარება. ფიზიკური გარემო უნდა იძლეოდეს მოდიფიცირების საშუალებას. გარე სივრცე/ეზოც უნდა იყოს დაყოფილი სხვადასხვა ფუნქციურ ცენტრებად. ეზოს ფიზიკური გარემო ჯგუფის მსგავსად ფუნქციურ სივრცეებად უნდა იყოს მოწყობილი. ეს სივრცეებია: დრამატული სივრცე, სახელოსნო სივრცე, ადგილი მოძრავი თამაშებისთვის, სამრომიალო, საქვიშე, ბოსტანი. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესში გაწერილია მუხლი 7. ფიზიკური გარემოს მოწყობა, სადაც აღნიშნულია, რომ: „ 1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს. 2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად. 3. დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.“ დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არის საჩრდილობელი, საქანელა, სასრიალო, საქვიშე, ბოსტანი, საჩრდილობელი მოწყობილია დრამატული თამაშებისთვის.(სახლი, ექიმის კაბინეტი,სალონი, ფერმა), აქვთ მეცნიერების და სენსორული ცენტრები, სახელოსნო, მუსიკალური ცენტრი. აქვე აღვნიშნავ, რომ ეზო ძირითადად დაწესებულების პერსონალის ჩართულობით, ხელნაკეთი ნივთებითაა მოწყობილი. დაწესებულებაში არის ორი ჯგუფური ოთახი, აქედან ერთი ჯგუფური ოთახის ფიზიკური გარემო მოწყობილია ცენტრებად, ავეჯი არ არის ხის ფაქტურის ფერადია. ცენტრები აღნიშნულია შესაბამისი

ვიზუალური მინიშნებებით და აღჭურვილია ფუნქციურად შესაბამისი რესურსებით. თუმცა რესურსის დიდ ნაწილს მეორეული მასალით დამზადებული რესურსი შეადგენს. რაც შეეხება მეორე ჯგუფურ ოთახს, ის დაგვხვდა ცარიელი, ჯგუფში იდგა მხოლოდ ორი მაგიდა. ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის დოკუმენტით არ დასტურდება ამ ჯგუფის მოსაწყობად საჭირო ინვენტარისა და საგანმანათლებლო რესურსის ფლობა. აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა ითვალისწინებს მთლიანი დაწესებულების ფიზიკურ სივრცის მოწყობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ მოაწყოს ჯგუფური ოთახების ფიზიკური გარემო განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისად.

რჩევა

დაწესებულებას შეუძლია შეუძლია შიდა სივრცეში არსებული დარბაზის აღჭურვა მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით, რაც უამინდობაში მოძრავი თამაშების საშუალებას მისცემს ბავშვებს და მეტად შეუწყობს ხელს მათ ფიზიკურ და სენსორულ განვითარებას. ასეთი ინვენტარია მაგ: ველოსიპედები (სხვადასხვა ზომის, სატერფულების გარეშე, სამთვილანი და ორთვილანი), ბალანსის დაფები, საგორიალელები დაფები, რბილი სპორტული ლეიბები, კედლის კიბეები და ა.შ.

ასევე შიდა სივრცის კედლები შეუძლიათ გამოიყენონ კურიკულუმისა და დაწესებულებების ღირებულებების გასაზიარებლად. მაგ: კედლებზე დაიტანონ კალიგრაფიულ წარწერებად, როგორც დეკორატიული პანო. რაც ვიზუალურადაც ლამაზია და ღირებულებების გაზიარებასაც შეუწყობს ხელს, როგორც შიდა, ასევე გარე აუდიტორიასთან.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: დაწესებულება მოაწყობს ჯგუფური ოთახების ფიზიკურ გარემოს განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისად. ასევე დარბაზი აღიჭურვება მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით, რაც უამინდობაში მოძრავი თამაშების საშუალებას მისცემს ბავშვებს და მეტად შეუწყობს ხელს მათ ფიზიკურ და სენსორულ განვითარებას. “აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების ოთახის და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. სივრცე დაყოფილი უნდა იყოს ფუნქციურ ცენტრებად, სადაც ბავშვებს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა ექნება. აღნიშნული ცენტრებში რესურსი ფუნქციისა და შინაარსის მიხედვით უნდა იყოს განაწილებული. რესურსი უნდა იყოს როგორც ქარხნული, ასევე ბუნებრივი და მეორეული მასალებით დამზადებული. ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თაროები და მათზე განლაგებული რესურსებიც.

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობაც კურიკულუმის შესაბამისია, ეზოში არის საჩრდილობლები, საქანელა, სასრიალო, საქვიშე, ბოსტანი, საჩრდილობელი მოწყობილია დრამატული თამაშებისთვის.(სახლი, ექიმის კაბინეტი,სალონი, ფერმა), აქვთ მეცნიერების და სენსორული ცენტრები, სახელოსნო, მუსიკალური ცენტრი. აქვე აღვნიშნავ, რომ ეზო ძირითადად დაწესებულების პერსონალის ჩართულობით, ხელნაკეთი ნივთებითაა მოწყობილი.

დაწესებულებაში არის ორი ჯგუფური ოთახი, აქედან ერთი ჯგუფური ოთახის ფიზიკური გარემო ცენტრებადაა დაყოფილი, ცენტრები აღნიშნულია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით და ფუნქციურად შესაბამისი რესურსებითაა უზრუნველყოფილი. თუმცა რესურსის დიდ ნაწილს მეორეული მასალით დამზადებული რესურსი შეადგენს და ავეჯი არ არის ხის ფაქტურის, ნეიტრალური ფერის. რაც შეეხება მეორე ჯგუფურ ოთახს, ის დაგვხვდა ცარიელი, ჯგუფში იდგა მხოლოდ ორი მაგიდა. აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა ითვალისწინებს მთლიანი დაწესებულების ფიზიკურ სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად მოაწყოს როგორც ერთი ჯგუფური ოთახი, ასევე მეორეც და უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება და განლაგება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისად და ბავშვისთვის ხელმისაწვდომად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „დაწესებულება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად მოაწყობს როგორც ერთ ჯგუფურ ოთახს, ასევე მეორესაც და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზებასა და განლაგებას განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისად და ბავშვისთვის ხელმისაწვდომად.“ აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიური და პასიური, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების ოთახის და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. უნდა იძლეოდეს აქტიური და პასიური, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშების შესაძლებლობას. ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობას. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობაც კურიკულუმის შესაბამისია, ეზოში არის საჩრდილობელი, საქანელა, სასრილო, საქვიშე, ბოსტანი, საჩრდილობელი მოწყობილია ფუნქციურ ცენტრად. მაგ: დრამატული თამაშებისთვის.(სახლი, ექიმის კაბინეტი,სალონი), მეცნიერების და სენსორულ ცენტრებად, სახელოსნო, მუსიკალური ცენტრი. აღნიშნულ ცენტრებში ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც პასიური, ისე აქტიური თამაშები. დაწესებულებაში არსებული ერთი ჯგუფური ოთახის ფიზიკური სივრცე დაყოფილია ფუნქციურ ცენტრებად და აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით. ეს ცენტრებია: დრამატული, კუბურების, სამაგიდო, ხელოვნების, სენსორული, მეცნიერების, წიგნიერების, მოსასვენებელი სივრცე. აღნიშნულ ცენტრებში ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც პასიური, ისე აქტიური თამაშები. ჯგუფს აქვს საძინებელი და ასევე ჯგუფურ სივრცეში მოსასვენებელი სივრცე, სადაც ბავშვს შეუძლია განმარტოება და დასვენება. დაწესებულებას აქვს დარბაზი სადაც ბავშვებს აქვთ აქტიური თამაშის შესაძლებლობა. მეორე ჯგუფურ ოთახში არის მხოლოდ ორი მაგიდა, არ არის მოწყობილი ავეჯით, არ არის დაყოფილი ცენტრებად და არ არის შეაბამისი რესურსი. აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა ითვალისწინებს მთლიან დაწესებულების ფიზიკურ სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ მოაწყოს როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფური ოთახი იმგვარად, რომ ბავშვს ჰქონდეს აქტიური და პასიური, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „დაწესებულება მოაწყობს როგორც ერთ, ისე მეორე ჯგუფურ ოთახს იმგვარად, რომ ბავშვს ჰქონდეს აქტიური და პასიური, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა.“ აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც თანხვედრაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდებთან, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ -ში რომელიც დამტკიცებულია შემდეგი ბრძანებით: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025)(მუხლი 8.)საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩექლისტები; დ) სკალები; ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები. ამავე წესში აღნიშნულია, რომ ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია და ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 52 (10.03.2025) რომლითაც დამტკიცებულია ბავშვის შეფასების ფორმები და ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 22 (10.02.2025) რომლითაც დამტკიცებულია ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის ფორმა. აღნიშნული ფორმები დაწესებულების მიერ დეკლარირებული კურიკულუმის შესაბამისია. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და აცნობიერებს დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობის მნიშვნელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც თანხვედრაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდებთან, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ -ში რომელიც დამტკიცებულია შემდეგი ბრძანებით: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025)(მუხლი 8. მუხლი 9.) წესში აღნიშნულია, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; აღნიშნულ წესს თან ერთვის დანართი #1 - ბავშვის შეფასების ფორმა, სადაც გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სრული ციკლი. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ წესსა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს და აცნობიერებს, რომ შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/მოდულიზაციისთვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გამოყენებას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემოს მორგება ბავშვის/მთლიანი ჯგუფის საჭიროებაზე; გეგმა/გეგმების

შედგენისას ბავშვის/მთლიანი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება; საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო რესურსების მობილიზება; აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის მიერ ეფექტური სტრატეგიების გამოყენება; ზომიერად დაძლევადი გამოწვევების შექმნა; რაც თანხვედრაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდებთან, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ -ში რომელიც დამტკიცებულია შემდეგი ბრძანებით: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025). მუხლი 8. პუნქტი 10. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს იყენებს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის. მათ შორის: მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირებისთვის; გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირებისთვის; საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრისთვის; დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენისთვის. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც თანხვედრაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდებთან, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ -ში რომელიც დამტკიცებულია შემდეგი ბრძანებით: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) (მუხლი 8. მუხლი 9. მუხლი 10.) დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას და ასევე უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით

დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ ჩართოს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი შეფასების პროცესში და როგორ გააცნოს მათ ბავშვის შეფასების შედეგები.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“
ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8
(16.01.2025)
2. ბავშვთა შეფასების ფორმები.
ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 52 (10.03.2025)
3. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N124 (15.05.2024)
4. ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა
ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 22 (10.02.2025)
5. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება



ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N14(27.01.2025)

6. დღის განრიგი;

7. ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/მიღება-ჩაბარების აქტები.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა ეფუძნება: “1.საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; 2.ფიზიკური გარემოს შეფასებას; 3.მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირს; 4.პერსონალის თვითრეფლექსიას; 5. სხვა;“ რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტით: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. (მუხლი 11.) საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება ითვალისწინებს: კურიკულუმის შეფასებას; საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; ფიზიკური გარემოს შეფასებას; მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირს და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 7 (16.01.2025) კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და გაზიარების წესი, რომელიც მოიცავს ხარისხის სრულ ციკლს: დაგეგმვა,

განხორციელება, შეფასებასა და განვითარებას. მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება. პუნქტი 4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება:

“ ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას; გ) მშობლების უკუკავშირს; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას; ე) სხვა. “აქვე აღნიშნულია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასება. ასევე აღნიშნულია რა ფორმით და რომელი საკომუნიკაციო არხებით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შეფასებაში. რაც შეეხება კურიკულუმში ცვლილებების შეტანასა და განვითარებას, ეს ნაწილი გაწერილია ამავე წესის მუხლი 5.-ში. აქვე აღნიშნულია, რომ შეფასების გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე შექმნა შეფასების გუნდი და დაამტკიცა დირექტორის ბრძანებით: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის დირექტორის ბრძანება N 7 (16.01.2025) კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და გაზიარების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით კურიკულუმის შეფასება ხდება ორ წელიწადში ერთხელ. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში რის დასტურადაც დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტი: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025), რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. ამ წესის მუხლი 11. საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება (4.5.6.7.8 პუნქტი) , ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 7 (16.01.2025) კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და გაზიარების წესი . ზემოთ აღნიშნულ

დოკუმენტებში გაწერილია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდება კურიკულუმის შეფასება, განვითარება და ცვლილება: „ მუხლი 5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება :1. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. 2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.” მათ შორის გაწერილია ამ ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამავე მუხლში ვხვდებით ასეთ ჩანაწერს: კურიკულუმის შეფასების პროცესში შეგროვილი ინფორმაციის ანალიზი და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში კი ცვლილებების განხორციელება. აქვე მუხლი 5.- ში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შეფასების გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე შექმნა შეფასების გუნდი და დაამტკიცა დირექტორის ბრძანებით: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 7 (16.01.2025) კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და გაზიარების წესი. რაც შეეხება კურიკულუმში ცვლილებების შეტანასა და განვითარებას, აღნიშნული წესის მიხედვით კურიკულუმის შეფასება ხდება ორ წელიწადში ერთხელ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.ა.ა.ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025)
2. კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და გაზიარების წესი

ა.ა.ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 7 (16.01.2025)

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025), რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია შიდა და გარე სამიზნე აუდიტორია. გარე აუდიტორიაში მოიაზრება, როგორც თემი, ასევე მშობელი /კანონიერი წარმომადგენელი და სხვა. დაწესებულება საკომუნიკაციო სამიზნე აუდიტორიასთან წინასწარ გეგმავს აქტივობებს და მათ დასაგეგმად იყენებს დანართი N1-ით განსაზღვრულ ცხრილს, ხოლო არაგეგმიური აქტივობები ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე და მათი ასახვა ამ ცხრილში არ ხდება. დაწესებულებამ წარმოადგინა ამ წესის შესაბამისად გაწერილი საკომუნიკაციო გეგმა: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N104 (01.05.2025)-ით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა. წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს, ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის. მაგ: „აქტივობის დასახელება: ღია კარის დღე. სამიზნე აუდიტორია მშობლები. ღონისძიების შინაარსი: ახალი აღსაზრდელის ადაპტაცია. „აქტივობის დასახელება: მშობლებთან შეხვედრები. სამიზნე აუდიტორია: მშობლები. ღონისძიების შინაარსი: კურიკულუმის გაზიარება/გაცნობა. სიახლეების გაცნობა/საჭიროებების განხილვა.“ ასევე წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს თემთან თანამშრომლობისთვის. მაგ: „აქტივობის დასახელება: თემის წარმომადგენლებთან შეხვედრა. სამიზნე აუდიტორია: სოფლის რწმუნებული, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. ღონისძიების შინაარსი: საჭიროებების განხილვა, სიახლეების გაცნობა.“

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია:

ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025), რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. სადაც აღნიშნულია: მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა: 1. საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ ხელმძღვანელობს ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღების გეოგრაფიული მდებარეობის, თემის სოციალური ჩვევებისა და როგორც ცენტრის ისე საბავშვო ბაღების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. 2. საკომუნიკაციო არხების შერჩევისას ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) სამიზნე აუდიტორიის საჭიროებები; ბ) რესურსების (მათ შორის ფინანსური) ხელმისაწვდომობა; გ) კომუნიკაციის შინაარსი და სიხშირე; დ) უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა; ე) კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში); ვ) სამიზნე აუდიტორიის კულტურულ და ლინგვისტურ სპეციფიკა; “ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინება თავისთავად ხელს უწყობს თემისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას დაწესებულების მიერ დაგეგმილ აქტივობებში, თუმცა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები ძირითადად კომუნიკაციის მეთოდებსა და არხებზეა ფოკუსირებული, ხოლო წახალისება ჩართულობის მოტივაციის ამაღლებასა და გრძელვადიან თანამშრომლობას უნდა ემსახურებოდეს. წახალისების მეთოდები აღიარებასა და დაფასებაზე, ერთობლივ პროექტებსა და მოხალისეობაზე, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც გულისხმობს არამართო დაწესებულების მხრიდან ინიცირებულ აქტივობებში ჩართულობას, არამედ თემისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან ინიცირებული აქტივობების ხელშეწყობას, როგორც დაწესებულების შიგნით ასევე მის გარეთ. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ

საგანმანათლებლო პერსონალი აცნობიერებს თემისა და მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის ჩართულობის მნიშვნელობას საგანმანათლებლო პროცესში და იცნობს მათთან საკომუნიკაციო არხებს, ხოლო ჩართულობის წახალისების მეთოდები არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს წახალისების მეთოდები, რომლის გამოყენებით წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში და ეს მეთოდები გააცნოს დაწესებულების პერსონალს.

რჩევა

დაწესებულებას შეუძლია წახალისების მეთოდები გაწესოს ცალკე დოკუმენტად ან საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების წესში შეიტანოს პუნქტის სახით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „დაწესებულება შეიმუშავებს წახალისების მეთოდებს, რომლის გამოყენებით წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში და ამ მეთოდებს გააცნობს დაწესებულების პერსონალს“ აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოადგინა: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025), რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. დაწესებულებას აღნიშნულ წესის მუხლი 4. -ში განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა: ა) პირისპირ



შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით;(Zoom, Teams); გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ) საინფორმაციო დაფები; ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ) სატელეფონო ზარები; ზ) ელექტრონული ფოსტა; თ) სოციალური მედიის პლატფორმები, ცენტრის Facebook გვერდი - <https://www.facebook.com/profile.php?id=100069087211561>; ი) Messenger-ის დახურული ჯგუფები. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ საკომუნიკაციო არხებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.
ა.(ა).ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025),
2. საკომუნიკაციო გეგმა
ა. (ა).ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N104 (01.05.2025)

შეფასება:

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია:

ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025), რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი და ამ წესის დანართი 1 - ის შესაბამისად გაწერილი ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N104 (01.05.2025) საკომუნიკაციო გეგმა. წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მათ შორის ასეთი ჩანაწერია: „ ბავშვთა უფლებები, ასაკობრივი თავისებურებები“, შეხვედრა სექტემბერში და აპრილში. აღნიშნული ინდიკატორი მოითხოვს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლებას არამხოლოდ ბავშვთა უფლებებისა და ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა, არამედ განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება როგორც ბავშვთა უფლებებისა და ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების, ასევე განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

რჩევა

ბავშვთა უფლებები, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკა იმდენად ფართო თემაა, რომ სასურველია ისინი კი არ გავაერთიანოდ ერთ შეხვედრაში, არამედ ცალ-ცალკე განვიხილოთ, რაც ამ თემების უკეთ გაშლის საშუალებას მოგცემთ და ცნობიერების ამაღლებაც უფრო ხარისხიანი იქნება. შეიძლება ამ თემების მიმართულებით მცირე ციკლების შემუშავება და აუდიტორიისთვის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიწოდება. მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების ორგანიზება მშობელთა ჩართულობით, მშობლებთან პირისპირ შეხვედრების მოწყობა, როგორც საერთო ასევე ინდივიდუალური. ამ ტიპის აქტივობებს არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი სახე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „დაწესებულება შეიმუშავებს წახალისების მეთოდებს, რომლის გამოყენებით წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში და ამ მეთოდებს გააცნობს დაწესებულების პერსონალს“ აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025) (მუხლი 9.) რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას და ასევე უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად. აქვე გაწერილია შეფასების პერიოდულობა, რაც თანხვედრაშია დეკლარირებულ კურიკულუმთან. მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა 1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. 2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად. მუხლი 8. პუნქტი 8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია; პუნქტი 9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ; ამავე წესის მუხლი 10. (პუნქტი 3.) გაწერილი აქვს რა ტიპის დოკუმენტებს უზიარებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს: „ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ ჩართოს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი შეფასების პროცესში და როგორ გააცნოს მათ ბავშვის შეფასების შედეგები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები და საგანმანათლებლო პერსონალი აცნობიერებს თემში არსებული რესურსის გამოყენების აუცილებლობას კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. მათ განაცხადეს, რომ აპირებენ კურიკულუმის ფარგლებში გასვლით აქტივობებს ბიბლიოთეკასა და სკოლაში. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025), რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი და ამ წესის დანართი 1 - ის შესაბამისად გაწერილი ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N104(01.05.2025)-ით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემდეგი აქტივობა: აქტივობის დასახელება: „თემის წრმომადგენელთან შეხვედრა“, აქტივობის შინაარსი: „საჭიროებების განხილვა,სიახლეების გაცნობა“, სამიზნე აუდიტორია: „ მენეჯერი,აღმზრდელი/სოფლის რწმუნებული, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, მთავარი იურისტი.“ აღნიშნულ გეგმაში არაფერია ნათქვამი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას თემში არსებული რესურსის გამოყენებაზე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025), სადაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკომუნიკაციო შიდა და გარე აუდიტორია და არხები. თუმცა არაფერია ნათქვამი თემში არსებული რესურსის გამოყენებაზე. ზემოთ აღნიშნული პროცესი გახლავთ საგანმანათლებლო/სააღმზრდელო პროცესში კურიკულუმის განხორციელებისთვის დამხმარე, ხელშემწყობი პროცესი. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სისტემური მიდგომა, ამ მიდგომის გარეშე დაწესებულების აღმზრდელთა მიერ თემში არსებული რესურსების გამოყენება კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას შეიძლება ჩაითვალოს ერჯერად ექსკურსიად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ გაწეროს კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე თემში არსებული რესურსის მოძიებისა და მათთან თანამშრომლობის წესი და მექანიზმები. წესისა და მექანიზმების დაცვით ორმხრივად განსაზღვროს ამ პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და გამოიყენოს თემში არსებული რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას, ასევე გაწეროს ინდიკატორით მოთხოვნილ ამოცანაზე კონკრეტული აქტივობები.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „დაწესებულება გაწერს კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე თემში არსებული რესურსის მოძიებისა და მათთან თანამშრომლობის წესს და მექანიზმებს. წესისა და მექანიზმების დაცვით ორმხრივად განსაზღვრავს ამ პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს და გამოიყენებს თემში არსებულ რესურსს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას, ასევე გაწერს ინდიკატორით მოთხოვნილ ამოცანაზე კონკრეტულ აქტივობებს.“ აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 02:10:25. აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 02:10:26. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 12 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში: ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025), რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. ამავე წესში გაწერილია მუხლი 6. განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა 1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს: ა) შენიშვნების/წინადადების ყუთი; ბ) ღია შეხვედრები; გ) სოციალური მედიის მონიტორინგი; კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შეფასებისთვის დაგროვებულ მონაცემებს ცენტრი აანალიზებს 6 თვეში.

მიმდინარე პრაქტიკისას აღნიშნული შეფასების მექანიზმით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მოხდება ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული იფორმაცია დადასტურდა ინტერვიუს საშუალებით. დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციის პროცესს, აღნიშნული წესი მიღებულია 16.01.2025. ვიზიტის დროისთვის შეფასების ვადა არ იყო მოსული, შესაბამისად არც ცვლილებები განხორციელებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.

ა.(ა).ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 11 (16.01.2025)

2. საკომუნიკაციო გეგმა.

ა. (ა).ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N104 (01.05.2025)

3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი

ა.(ა).ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 8 (16.01.2025)

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი პერსონალის რაოდენობა, რაც დასტურდება ა. (ა). ი. პ. “თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის” 2025 წლის საშტატო განრიგითა და ასევე, 2025 წლის აპრილის მონაცემებით საშტატო განრიგი, ბაღების მიხედვით. დაწესებულება არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნას აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან მიმართებაში, ვინაიდან არ ჰყავს მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის შესაბამისად აღმზრდელები.

დაწესებულების შინაგანაწესის მუხლი 7(7.17) ითვალისწინებს თანამშრომელთა დროებით ჩანაცვლებას, საჭიროებიდან გამომდინარე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გაერთიანების ორგანოგრამა, ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ასახავდეს თანამდებობრივ დაქვემდებარებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ორგანოგრამაში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი თანამშრომელთა პოზიციების ჩამონათვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგენით მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

დაწესებულებას უნდა ჰყავდეს იმდენი აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, რამდენიც შეესაბამება ზღვრულ რაოდენობას და ამასთანავე, დაცული იქნება კანონში განსაზღვრული რაოდენობა, ასაკის მითითებით. ამასთანავე, დაწესებულებამ შეიმუშაოს საკუთარი ორგანოგრამა, შესაბამისი თანამდებობრივი დაქვემდებარებითა და თანამშრომლების პოზიციების მითითებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებას დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს, „დაწესებულებას ეყოლება იმდენი აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, რამდენიც შეესაბამება ზღვრულ რაოდენობას და ამასთანავე, დაცული იქნება კანონში განსაზღვრული რაოდენობა, ასაკის მითითებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანოგრამის პროექტი, შესაბამისი თანამდებობრივი დაქვემდებარებითა და თანამშრომლების პოზიციების მითითებით, რომელიც ელოდება გარკვეულ საფეხურობრივ განხილვას“, პერიოდულობით- 12 თვე, 02.10.2025-დან 02.10.2026-მდე. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გაერთიანების ორგანოგრამა, ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ასახავდეს თანამდებობრივ დაქვემდებარებას. დაწესებულების ორგანოგრამაში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი თანამშრომელთა პოზიციების ჩამონათვალი. დაწესებულებას მენეჯერის სახით ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც განსაზღვრულია ა. (ა). ი. პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება №13-ით. შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს საკუთარი ორგანოგრამა, შესაბამისი თანამდებობრივი დაქვემდებარებითა და თანამშრომლების პოზიციების მითითებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოაგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს, რომ „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანოგრამის პროექტი, შესაბამისი თანამდებობრივი დაქვემდებარებითა და თანამშრომლების პოზიციების მითითებით, რომელიც ელოდება გარკვეულ საფეხურობრივ განხილვას და შემდგომში დამტკიცებას“ პერიოდულობით 02.10.2025წ-დან 02.10.2026წ-მდე, აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები წარმოდგენილი აქვს დოკუმენტებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №187/188, ასევე ააიპ „სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის დირექტორის ბრძანებით №334, თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტების მიერ მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ერთმანეთს არ შეესაბამება. პერსონალის კვალიფიკაცია ვერ დასტურდება პირადი საქმეებით, ვინაიდან, პირადი საქმეების სავალდებულო რეკვიზიტები, რომელიც განსაზღვრული აქვს დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მუხლი 22. თანამშრომელთა პირადი საქმეები, არ შეესაბამება ჩამონათვალს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დააკორექტიროს დოკუმენტები იმგვარად, რომ თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან საკრებულოს დადგენილება, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ასევე, პირადი საქმეები და მასში ჰქონდეს ყველა დოკუმენტი, რომელიც ჩამოთვლილი აქვს სავალდებულო რეკვიზიტებში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს, რომ „დაწესებულებამ დააკორექტირებს დოკუმენტებს იმგვარად, რომ თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან საკრებულოს დადგენილება,

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ასევე, პირადი საქმეები და მასში ექნება ყველა დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოა“, დაწყება-დასრულების სავარაუდო პერიოდი- 02.10.2025 02.10.2026, აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.**

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც დასტურდება სერტიფიკატით, თუმცა მხოლოდ ერთ პიროვნებას. პერსონალის გადამზადება გაწერილი აქვთ შესაბამისობის გეგმაში, თუმცა შესაბამისობის გეგმაში არ არის გაწერილი ყველა აუცილებელი გრაფა. კადრების ცვლილებისას და ახალი საგანმანათლებლო პერსონალის აყვანის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში არ არის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის არსებობა განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებაში ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თითოეულ საგანმანათლებლო პერსონალს მნიშვნელოვანია ჰქონდეს დადასტურებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. ასევე, უზრუნველყოს საგანმანათლებლო კადრების ცვლილებისას, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში წინაწარ განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციის (სერტიფიკატი, სიგელი, დიპლომის დანართი და სხვა) ქონა. სხვა შემთხვევაში, დაწესებულებამ კადრის აყვანისთანავე, უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველყოს ახალი კადრის გადამზადება. რეკომენდირებულია, თითოეული საგანმანათლებლო პერსონალისათვის ყოველწლიურად ახლდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენციები შესაბამისი სწავლებით, სიმულაციებით, ტრენინგით და სხვა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს, რომ „დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო კადრების ცვლილებისას, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში წინაწარ განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციის (სერტიფიკატი, სიგელი, დიპლომის დანართი და სხვა) ქონას. უზრუნველყოფს თითოეული საგანმანათლებლო პერსონალისათვის ყოველწლიურად პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენციების შესაბამის სწავლებას, სიმულაციებს, ტრენინგებს და სხვა.“, პერიოდულობა-02.10.2025-დან 02.10.2026-მდე. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.**

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელს წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ ა. (ა). ი. პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება №96-ით, 22/04/2025, ასევე დაწესებულებას აქვს შინაგანაწესი. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შინაგანაწესი, არ არის თანხვედრაში (მაგ: პერსონალის მარეგულირებელი წესის მუხლი 22 და შინაგანაწესის მუხლი 5, და ა.შ.). ამასთანავე, დაწესებულების მენეჯერმა მტკიცებულად წარმოადგინა შინაგანაწესის გაცნობის საერთო ფურცელი, სადაც ხელს აწერდნენ თანამშრომლები, თუმცა შინაგანაწესში დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტის მტკიცებულების ფორმა (თითოეული თანამშრომლისთვის ინდივიდუალურად), რომელიც ინდივიდუალურად არ არის წარმოდგენილი პირად საქმეებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დააკორექტიროს შინაგანაწესი იმგვარად, რომ თანხვედრაში იყოს პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესთან. ასევე, დაწესებულებამ უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში შინაგანაწესის გაცნობის მტკიცებულების ქონა.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს, შინაგანაწესის დაკორექტირების დრო, ვინაიდან ამის შემდეგ დაწესებულებამ შეიმუშავა სხვადასხვა დოკუმენტი, ამიტომ, საჭიროა შინაგანაწესის გადახედვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, „დაწესებულება შესაბამისობაში მოიყვანს შინაგანაწესს და პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესს. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში შინაგანაწესის გაცნობის მტკიცებულების ქონას“. დაწესებულება დადგენილ ხარვეზს შესაბამისობაში მოიყვანს 02.10.2025წ-დან 02.10.2026წ-მდე პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პერსონალთან, აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობების ჩამონათვალს. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ „საგანმანათლებლო პერსონალის დღიური სამუშაო საათი განისაზღვრება 8 საათით, რომელიც იყოფა, საკონტაქტო (ოთხ) და არასაკონტაქტო (ოთხ) საათად. საკონტაქტო საათის დროს აღმზრდელი/აღმზრდელის თანამემწე უშუალოდ მუშაობენ აღსაზრდელებთან, ხოლო არასაკონტაქტო საათის დროს აღმზრდელი/აღმზრდელის თანამემწე თანამშრომლობს გუნდის სხვა წევრებთან და მუშაობს ბავშვის პორტფოლიოს შექმნა, დახვეწა, გაანალიზებაზე და შესაბამისად, მომდევნო კვირის მიმდინარე გეგმის შემუშავებაზე და შესაბამისი რესურსის მობილიზებაზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის შერჩევისა და დასაქმებისას ხელმძღვანელობს თავისთავად გაწერილი რეგულაციებითა და კანონმდებლობების შესაბამისად. სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები, ა. (ა). ი. პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება №96, 22/04.2025, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის, თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი. მარეგულირებელი წესის მიხედვით, პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას, კერძოდ, პირი დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე. პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში

გაწერილია ღია კონკურსის ჩატარების ეტაპები, მაგალითად: ა) დაწესებულების მიერ ვაკანსიის შესახებ განაცხადის მომზადება; ბ) კონკურსანტის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა; გ) კომისიის ფორმირება; დ) ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება; ე) წარმოდგენილი განაცხადების დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და დოკუმენტების შესწავლა; ვ) კანდიდატთა შეფასება და საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებული დასაქმების ვებგვერდზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება დაწესებულების თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ღია კონკურსის ჩატარების პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას.

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ღია კონკურსის ჩატარების პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის მე-18 მუხლით, სადაც ასახულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა; ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან; გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა; დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება; ვ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ



თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში; აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდურ მუშაობის პრინციპზე, თანამშრომლობითი ურთიერთობები ურთიერთპატივისცემასა და გუნდურობას ეყრდნობა, რაც ზრდის ჩართულობას, მოტივაციასა და ეფექტიან მშრომისუნარიანობას. თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს, ისინი აღწერდნენ საკუთარ პრაქტიკას და აჩვენებდნენ ურთიერთთანამშრომლობის განწყობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოს შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა, მე-4 მუხლის მე-20 მუხლი. დოკუმენტი დამტკიცებულია 2025 წლის 22 აპრილს. ვინაიდან დოკუმენტი ახალი დამტკიცებულია პროცესის საქმიანობის განხორციელებისა და საქმიანობის შეფასების შედეგები ამ ეტაპისთვის არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია რომ შეფასება, ასევე საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება შემდეგი მეთოდ(ებ)ის გამოყენებით: ა) კითხვარი; ბ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; გ) თვითშეფასება; დ) გასაუბრება; ე) სხვა., თუმცა ის ფორმები, რომლებიც გამოყენებული იქნება კითხვარების, თვითშეფასების, ხელმძღვანელის შეფასებისას არ არის განსაზღვრული. ამასთანავე, არ არის განსაზღვრული მონიტორინგის შესრულების ვადები. ინტერვიუს დროს, დადგინდა რომ ამ ეტაპისთვის საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, გასაუბრების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დააკორექტიროს პერსონალის მართვის დოკუმენტი, იმგვარად, რომ სრულად იყოს წარმოდგენილი ჩამოთვლილი მეთოდების ფორმები. ასევე, განსაზღვროდ შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მონიტორინგის ვადები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შემდეგი აქტივობა „დაწესებულება დააკორექტირებს პერსონალის მართვის დოკუმენტს, იმგვარად, რომ სრულად იყოს წარმოდგენილი მეთოდების ფორმები. ასევე, განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მონიტორინგის ვადებს“. პერიოდულობით- 02.10.2025წ-დან 02.10.2026წ-მდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამდიბელი პერსონალის შეფასებასა და მოკვლევას ამ ეტაპისთვის ახორციელებს მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, შესაბამისად ხელმისაწვდომი არ არის შედეგები, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც სტრატეგიული მიზანი 4-ში განსაზღვრული აქვს პერსონალის განვითარების გეგმა/გეგმები, თუმცა სამოქმედო გეგმაში არ იკვეთება რესურსების სავალდებულო ველი, არც შესაბამისად გაწერილი აქტივობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დააკორექტიროს წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ისე, რომ იყოს ყველა სავალდებულოდ შესავსები ველი და ასევე, გაწეროს მათი შინაარსი შესაბამისად. აღნიშნულის ჩამონათვალი და შინაარსი შესაძლებელია დაწესებულებამ იხილოს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევაში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია, „დაწესებულება დააკორექტირებს წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმას, ისე, რომ იყოს ყველა სავალდებულოდ შესავსები ველი და ასევე, გაწეროს შინაარსის შესაბამისად.“, დაწყება-დასრულების სავარაუდო თარიღის მითითებით, 02.10.2025 02.10.2026, ქედან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამდიბელი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რაც დასტურდება ა. (ა). ი. პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება №96, 22/04.2025, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-20 მუხლით, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით, პერსონალის მხრიდან. ამ ეტაპისთვის



ინიციატივები გამოკვეთილია ზეპირსიტყვიერად. დაწესებულებაში ინტერვიუების დროს თანამშრომლებმა დაადასტურეს აღნიშნული პრაქტიკის არსებობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა.(ა).ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება №13, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ;
2. საშტატო განრიგი;
3. შინაგანაწესი;
4. ორგანოგრამა;
5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №187/188;
6. თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ბრძანება №334;
7. პირველადი დახმარების სერტიფიკატები;
8. ა.(ა).ი.პ.“თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება №96, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
9. პირადი საქმეები;
10. ინტერვიუ



შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, სტატუსის მამიებელს იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, აღნიშნული დასტურდება დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით №97, 22/04/2025წელი, პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პროცესებს მართავს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რაც დასტურდება ა. (ა). ი. პ. „ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N 97-ით, პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. დამტკიცებულია 22/04/2025წელს. დოკუმენტს, თანდართული დანართების შესაბამისად, *დანართი №2-რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების შაბლონი; დანართი N3. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შაბლონი*, თან ერთვის შაბლონები, აქვე მითითებული აქვს, რომ : მუხლი 8. გარდამავალი დებულებები რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა დამტკიცდება დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით №22 (10/02/2025წელი), დაწესებულებას რეგისტრაციის ფორმად არჩეული აქვს მატერიალური ფორმა. ინტერვიუს დროს გაერთიანების დირექტორმა და დაწესებულების მენეჯერმა დაადასტურეს, რომ ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. რეგისტრაციის პერიოდულობა ქვეყნდება სოციალურ გვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პირადის საქმის განუყოფელ ნაწილს. ბავშვის პირადი საქმის წარმოების წესი რეგულირდება “ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” მე-5 მუხლის მე-5 ქვეთავის შესაბამისი ჩანაწერით. რაც შეეხება პერსონალის პირად საქმეებს, აღნიშნული რეგულირდება პერსონალის მარეგულირებელი წესის, თავი IV, მუხლი 22-ის შესაბამისად. პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ არცერთ პირად საქმეში არ მოიძებნა ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დააკორექტიროს პირადი საქმეების დადგენილი წესი იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს კანონმდებლობით სავალდებულოდ განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალთან, აუცილებელია პირად საქმეში იყოს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს მე-18 მუხლის მიხედვით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ განსაზღვროს აღნიშნული ცნობების განახლების პერიოდულობა. ამასთან, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა მოითხოვოს ცნობების დაუყოვნებლივ განახლება. დაწესებულებამ დააკორექტირებს შინაგანაწესი ისე, რომ თანხვედრაში იყოს პერსონალის მარეგულირებელ წესთან, პერსონალის პირად საქმეებში მოსათხოვნი დოკუმენტებთან დაკავშირებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შემდეგი აქტივობა, კერძოდ „დაწესებულება დააკორექტირებს პირადი საქმეების დადგენილ წესს იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს კანონმდებლობით სავალდებულოდ განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალთან, დაწესებულება განსაზღვრავს აღნიშნული ცნობების განახლების პერიოდულობას. ამასთან, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელი მოითხოვს ცნობების

დაუყოვნებლივ განახლებას. ასევე, დაწესებულება დააკორექტირებს შინაგანაწესს ისე რომ თანხვედრაში იყოს პერსონალის მარეგულირებელ წესთან, პერსონალის პირად საქმეებში მოსათხოვნ დოკუმენტებთან დაკავშირებით.“, პერიოდულობა-02.10.2025წ-დან 02.10.2026წ-მდე. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა, მეტწილად შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
3. პერსონალის პირადი საქმეები;
4. ბავშვების პირადი საქმეები;
5. ინტერვიუ;
6. ა.ა.ი.პ. თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით №22 (10/02/2025წელი), ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი;
